თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3424503

ნომერი: AR1524703

თარიღი : 20.07.2017

გაცემის თარიღი : 25.07.2017

გაცნობის თარიღი : 26.07.2017

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

მარჯანიშვილის ქუჩა 16დ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნოდარ დოჭვირი პ/ნ 01030005578
- თბილისი ლარეხის ქ. N 5

ორგანიზაცია:

- შპს "არქიტექტდიზაინ ნოდო" კოდი: 202429158

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის საზღვრების მომზადება
- ღია სეზონური საზაფხულო კაფის მოწყობა

განაცხადის სტატუსი შუალედური

გადაწყვეტილება

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 20/07/2017წ. AR1524703 განცხადება ქ. თბილისში, დიდუბის რაიონში, მარჯანიშვილის ქუჩა, N16გ-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს.კ.01.13.08.007.064) ღია სეზონური საზაფხულო კაფეს მოწყობის მიზნით წერილობითი ნებართვის გაცემის თაობაზე და გაცნობებთ, რომ დროებითი სტატუსის ღია კაფე გულისხმობს არსებული საზოგადოებრივი კვების ობიექტის წინ მხოლოდ მაგიდა–სკამების, არსებობის შემთხვევაში ქოლგების და რიგი დეკორატიული ელემენტების განთავსებას (მაგ: წერტილოვანი ქოთნები გამწვანებით), ისე, რომ დაცული იქნეს ფეხითმოსიარულეთა თავისუფალი გადაადგილებისთვის გამოყოფილი ტროტუარის ზომა მინიმუმ 1.80 მ-მდე. წარმოდგენილი სახით სავარძლების განთავსება სამსახურს მიზანშეწონილად არ მიაჩნია. სკამებისა და მაგიდების დიზაინი უნდა იყოს უფრო მსუბუქი. შესაბამისად წარმოსადგენია გასწორებული ესკიზი და დეტალური გეგმა მაგიდა, სკამების და საკადასტრო საზღვრების დატანით (ზომებისა და გაბარიტების ჩვენებით (სიგრძე, სიგანე), ფართის მითითებით). ასევე დღეის მდგომარეობით არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტოები თარიღის მითითებით. ვინაიდან თქვენს მიერ ღია სეზონური კაფეს მოწყობა ხდება ა.ი.პ. „თბილისის განვითარების ფონდი“-ს მიწის ნაკვეთზე (ს.კ. N#01.13.08.007.064), დამატებით უნდა წარმოადგინოთ მესაკუთრის შესაბამისი წესით დამოწმებული თანხმობა ღია კაფის მოწყობასთან დაკავშირებით. ამასთანავე წარმოსადგენია შესაბამისი წესით დამოწმებული იჯარის ხელშეკრულება, რათა დადგინდეს მოიჯარის ვინაობა, ან იჯარის ხელშეკრულება დაარეგისტრირეთ საჯარო რეესტრში.
ამასთან გაცნობებთ, რომ წარმოდგენილი საპროექტო ტერიტორია მდებარეობს კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში, საკითხი უნდა განიხილოს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭომ. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის შესაბამისად თქვენ გეძლევათ გადაწყვეტილების გაცნობიდან 15 დღიანი ვადა მოთხოვნილი დოკუმენტაციის წარმოსადგენად. სამსახურის მიერ დანიშნულ ვადაში, მოთხოვნილი დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში, საკითხი დარჩეს განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7
ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge